პროლეტარებო უფლა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 223 (13308) | სამშაბათი 21 სექტემბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ — ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲮᲐᲠ

ᲩᲕᲔᲜᲡ დროში ყოველდღიურად თეორია პრაქტიკად იქცევა. ეს არის სწორედ საბჭოთა მეცნიერების უდიდესი დამახასიათებელი თვისება. ამიტომაც არის, რომ ჩვენი მეცნიერული ცენტრებისაკენ მიქცეულია მთელი ხალხის, მთელი სახელმწიფოს ყურადღება. საბჭოთა ეკონომიკის შემდგომი განვითარება, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერება უპირველეს ყოვლისა იმაზეა დამოკიდებული, თუ რა შედეგები ექნება ჩვენს მეცნიერთა კვლევას, როგორ შეესატყვისება იგი ქვეყნის მოთხოვნებს, და, ბოლოს, როგორ დაინერგება იგი პრაქტიკაში, რათა ეფექტი მოგვცეს.

მეცნიერული გამოკვლევების ეფექტურობა, მათი სარგებლიანობა სახალხო მეურნეობისათვის, კულტურისათვის განსაზღვრავს და უნდა განსაზღვრავდეს ავტორთა და კოლექტივთა შრომის ნაყოფიერებას.

საქართველოს მეცნიერებას მთელი ჩვენი ქვეყნის მეცნიერებასთან ერთად შეუძლია იამაყოს იმ წარმატებებით, რაც მას მოუპოვებია ბუნების საიდუმლოებათა გახსნასა და ათვისებაში, ტექნიკური პროგრესისათვის ხელშეწყობაში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემების დამუშავებაში.

სულ უფრო და უფრო ფართოვდება ქართველ მეცნიერთა შემოქმედებითი ბორიზონტები. ეს კი განპირობებულია პარტიისა და მთავრობის მიერ ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელებით. პარტია, საბჭოთა მთავრობა შეუნელებლად ზრუნავენ მოკავშირე რესპუბლიკებში მეცნიერული აზროვნების აყვავებისათვის. ამ ლენინურ ზრუნვას საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, მისი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ინსტიტუტები და ლაბორატორიები, მეცნიერთა მისი დიდი და მძლავრი არმია უპასუხებენ იმ შესანიშნავი გამოკვლევებით, რაც მიღწეულია როგორც საბუნებისმეტყველო, ისე საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფრონტებზე.

ქართველი მათემატიკოსები და ფიზიკოსები, ფიზიოლოგები და ქიმიკოსები, ბიოლოგიისა და ზოოლოგიის, კიბერნეტიკისა და ლინგვისტიკის, მეცნიერების მრავალი სხვა დარგის გამოჩენილ მოღვაწეთა გრანდიოზული მიღწევები ცნობილია არა მარტო რესპუბლიკის, არამედ ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ფარგლებს გარეთაც. საბჭოთა საქართველოს მეცნიერების კორიფეთა მსოფლიო აღიარება ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რაოდენ დიდი წვლილი შეუძლია შეიტანოს ჩვენს ეროვნულ მეცნიერებას თავისი რესპუბლიკისა და, მაშასადამე, მთელი საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკის, კულტურის შემდგომ ზრდა-განვითარებაში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ განმტკიცებაში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერული ცენტრია მთელ ჩვენს დიდ სოციალისტურ სამშობლოში. ამ ცენტრს დიდი ხანია ანგარიში ეწევა მსოფლიოს ზუსტ თუ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აზროვნების სფეროებში. ქართული საბჭოთა მეცნიერება მხარდამხარ მიჰყვება ჩვენს მუშას და კოლმეურნე გლეხს, ჩვენს ინჟინერსა და აგრონომს, ჩვენს მკურნალსა და აღმზრდელს; ქართული საბჭოთა მეცნიერება თავისი დიდი მონაპოვრებით მტკიცე ნიადაგი და საიმედო თანამგზავრი გახდა. კომუნიზმის მშენებლობის აქტიური მონაწილე ჩვენი მშრომელი ადამიანებისათვის. სწორედ თეორიისა და პრაქტიკის ახეთი მჭიდრო კავშირი არის ეპოქის და გარემოების უპირველესი მოთხოვნა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემებით უკანასკნელ ხანებში თვალსაჩინო ნაბიჯები გადადგა თეორიული კვლევის პრაქტიკაში დანერგვის მეტად ხეროიოზულ და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის უბანზე. მიმდინარე წლის მარტო პირველი ნახევრისათვის, მაგალითად, ათვისებულია რაბდოპისიტ-ფენოლის პრესფხვნილის წარმოების საცდელი დანადგარი ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში; ინერგება კარბონატული და დაჟანგული მადნების განცალკევებული ამოღება ჭიათურაში. იქვე წარმატებით იცდება მადანში მარგანეცის შემცველობის ავტომატურად განმსაზღვრელი უნიკალური აპარატი.

თვალსაჩინოა ქართველი მეცნიერების მიღწევები ასტრონომიის, გრავიტაციული კოსმოლოგიისა და რადიაციის პრობლემების, გრავიტაციული ველის კვანტური თეორიის დარგებში. მსოფლიო აღიარებს ქართველ ფიზიკოსთა მთელი რიგი ორიგინალური შრომების ღირსებას. ავიღოთ თუნდაც ნახერწკლური კამერა, რომელიც ქართველმა მეცნიერებმა შექმნეს და რომელმაც მნიშვნელოვნად გააფართოვა კვლევა ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში.

ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების გამოყენებით ეხმარებიან სახალხო მეურნეობას ქართველი ქიმიკოსები, რომლებიც წარმატებით მუშაობენ ძვირფასი ქიმიური სასუქების შესაქმნელად; ქართველი მორფოლოგები დიდ წარმატებებს აღწევენ ჭვრილ სისხლძარღვთა სისტემის აგებულების შესწავლაში. ძნელია ჩამოთვლა იმ დიდი მიღწევებისა, რაც ქართველ მეცნიერებს გაეჩინათ. ამ მიღწევებზე და მსოფლიოში ქართველ მეცნიერთა უდიდეს ავტორიტეტზე მეტყველებენ ის საერთაშორისო ფორუმები, კონგრესები, რაც ჩვენს რესპუბლიკაში ტარდება მეცნიერების მრავალ საინტერესო დარგში.

ქართველ მეცნიერთა მიღწევები დგას ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, დიადი კომუნისტური მშენებლობის სამსახურში, კომუნიზმის წმენებელობის საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების სამსახურში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ყოველდღიურად, შეუნელებლად ზრუნავენ მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის, მის მოწინავეთა გამრავლებისათვის. ამის საპასუხოდ ჩვენმა მეცნიერულმა საზოგადოებრიობამ კიდევ უფრო უნდა აამაღლოს თავისი შემოქმედებითი საქმიანობა. როგორც არსებობს გეგმები წარმოებაში, სოფლის მეურნეობაში, ასევე არის გეგმები მეცნიერულ კვლევაშიც. ეს გეგმები შედგენილია საბჭოთა მეცნიერების განვითარების ძირითად მიმართულებათა შესაბამისად. ამ გეგმების შესასრულებლად უნდა დარაზმონ მთელი ძალები. ეფექტური მეცნიერული კვლევის ამაღლების მთავარ პირობად ითვლება მათი სწორი ორგანიზაცია. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ყველა სამეცნიერო დაწესებულებებთან. აშასთან ეს კავშირი უნდა იყოს შემოქმედებითი.

მეცნიერ მუშაკთა ძირითადი ძალები სწორად უნდა განაწილდეს უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო პრობლემებზე სამუშაოდ. მეცნიერულ კვლევაში ფართოდ უნდა იქნას ჩაბმული უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერული კერები.

მთელ ამ საქმიანობაში დიდია ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა. მათი ვალია ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მეცნიერული მუშაობისა და მისი ეფექტურობის ამაღლებას, მეცნიერული კადრების აღზრდას პარტიის, სახელმწიფოს, ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.

თვითეული მეცნიერი, თვითეული მეცნიერული კოლექტივი გამსჭვალული უნდა იყოს იმის ღრმა შეგნებით, რომ მის მუშაობას სიყვარულით ადევნებს თვალს მთელი ჩვენი ქვეყანა, რომ მისი მუშაობით დაინტერესებულია კომუნიზმის მშენებელი ხალხი. რა ახალი, კარგი და ეფექტური მისცეს მათ დღის ქვეყანას? რით გაამდიდრებენ ისინი ჩვენს ცოდნას, რა ძალას შემატებენ ჩვენს ტექნიკას, სახალხო მეურნეობას? — აი საფიქრებელი და ხაზრუნავი, რაც მუდამ თან უნდა ახლდეს მეცნიერს, მეცნიერულ კოლექტივს.

არსად, არასოდეს ისე არ ფასობდა მეცნიერის მუშაობა, როგორც ჩვენს დიდ სოციალისტურ სისტემაში ფასობს. ეს დაფასება კი, როგორც მუდამ, ახლაც და მომავალშიც მეცნიერთა და მათი კოლექტივების ნაყოფიერი, ეფექტური, შემოქმედებითი მუშაობით უნდა იქნეს აღნიშნული.

მეცნიერული აზრის ეფექტურობისათვის!

ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲔᲚ ᲛᲔᲩᲐᲘᲗᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐ ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲓᲒᲘᲕᲐᲜᲗᲐᲜ ᲐᲛᲑ **Თ. ᲩᲮᲘᲙᲕᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ.**

რაიონის კოლმეურნეობების შემოსავლის ძირითად წყაროს ჩაის კულტურა წარმოადგენს. მას 2044 ჰექტარი ფართობი უჭირავს. აქედან მოსავლიანია 1.698 ჰექტარი. ეს კულტურა ფელადი შემოსავლის 80 პროცენტზე მეტს იძლევა.

პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა განახორციელეს საჭირო აგროღონისძიებები. ამის შედეგად რაიონის მეჩაიეებმა, მიუხედავად არახელსაყრელი ამინდებისა, პირნათლად შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური დავალება. მოიკრიფა და საბელმწიფოს მიეყიდა 5.356 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი ნაცვლად 5.350 ტონისა. მოკრეფილი ფოთლის 71,5 პროცენტი პირველი ხარისხისაა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 625 ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაი მოიკრიფა, — განაცხადა საუბარში პარტიის **ჩოხატაურის** რაიკომის მეორე მდივანმა ამხ. **ტ. ჩხიკვაძემ.**

აღსანიშნავია, რომ მკვეთრად გადიდდა საშუალო მოსავლიანობა. თუ გასულ წელს 1.698 ჰექტარ სრულმოსავლიანი პლანტაციიდან საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 2.767 კილოგრამი, წელს იმავე ფართობიდან უკვე მიღებულია 3.135 კილოგრამი.

ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი მაღალმთიანი ზონის **ჩხაკოურას** კოლმეურნეობამ. აღნიშნულ კოლმეურნეობას ეკონომიურად განმტკიცების მიზნით დაბალი ზონის ჩაისუბნების კოლმეურნეობიდან უსასყიდლოდ გადაეცა 30 ჰექტარი ჩაის სრულმოსავლიანი პლანტაცია. ამავე დროს გაკეთდა ახალი პლანტაციები. კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე **ა. ქათამაძე,** აგრონომი **ა. პაიკაძე,** პარტორგანიზაციის მდივანი **დ. ვაშაყმაძე**) წლიური გეგმა ჯერ კიდევ 20 აგვისტოსათვის შესრულა. ამ დღეებში ვალდებულებაც შესრულეს.

მათ მხარდამხარ მიჰყვებიან მთიანი ზონის **ნაბეღლავის** (თავმჯდომარე **გ. დოლიძე,** პარტორგანიზაციის მდივანი, იგივე აგრონომი შ. ყიფლტი), **ხეგის** (თავმჯდომარე **გ. მამალაძე,** პარტორგანიზაციის მდივანი ნ. ანთიძე), **შუასუფრების** (თავმჯდომარე **ზ. ტრაპაიძე,** პარტორგანიზაციის მდივანი დ. ბერიშვილი) კოლმეურნეობები.

წლიური გეგმები შესასრულეს აგრეთვე **გოგოლესუბნის, შუაგანახლების, ფარცხმის, შუაფარცხმის, სამების, ბუკნარის, დაბლაციხის** და სხვა კოლმეურნეობებმა.

სასახელო მაჩვენებლები მოიპოვეს ცალკეულმა ბრიგადებმა, რგოლებმა და მეჩაიეებმა. მათ შორის აღსანიშნავი არიან განახლების კოლმეურნეობის მეცხრე, გოგოლესუბნის კოლმეურნეობის პირველი, ხიდისთავის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადები, მათ ვადაზე ადრე დიდი გადაჭარბებით შესასრულეს წლიური გეგმები და ახლა ჩაის ფოთოლს ვალდებულებს ანგარიშში კრეფენ.

განსაკუთრებული ქება ღირსია **ჩაისუბნის** კოლმეურნეობის № 6 ბრიგადა (ბრიგადიერი **ი. სახარულიძე**), რომელმაც 17 ჰექტარ სრულმოსავლიან ჩაის პლანტაციაში 76 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა ჩაცვლად 70 ტონისა და ამრძავის 80 ტონა ჩაის ფოთლისათვის. ბრიგადაში საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 4.400 კილოგრამს შეადგენს.

ახლა რაიონში 200-ზე მეტი ოვატორი მეჩაიეა. მათი დიდი ნაწილი ვალდებულების გადამეტებით [illegible] ფოთოლს. [illegible] ჩაისუბნელი კომუნისტი ლამარა **ჩხიკვაძე,** რომელმა [illegible] ლოგრამი ჩაის ფოთოლი. ასევე თავდადებით შრომობს შუაგანახლებელი, ლენინის ორდენოსანი კოლმეურნე **არეთა სიხარულიძე.** მან 3.700 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფა.

ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულებაში დიდი წვლილი შეიტანა რაიონის ახალგაზრდობამ. მისი ძალებით მოკრეფილია 3.000 ტონა ჩაის ფოთოლი.

ჩოხატაურელი მშრომელები მიღწეულს ოდიდ სჯერდებიან. ისინი ჩაბმულნი არიან მეტი ჩაისათვის გაჩაღებულ ლაშქრობაში. და **ვალდებულებას კისრულობენ წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 450 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.**

ᲩᲐᲘᲡ ფოთლის კრეფის წლიური გეგმის ვადამდე შესრულებაში რაიონის ასობით მეჩაიემ ისახელა თავი. ბევრმა კი ვალდებულებაც გაანაღდა. მათ შორის აღსანიშნავია გორაბერეულელი მუშაობა. ამ **ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ** (მარცხნივ) თქვენ ხედავთ გორაბერეულის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიეებს **ᲜᲐᲓᲘᲐ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔᲡ** (მარჯვნივ) **ᲓᲐ ᲜᲐᲖᲘ ᲓᲔᲕᲘᲫᲔᲡ.** ᲖᲔᲛᲝ ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ აღბეჭდილია სოფელ განახლების კოლმეურნეობის ახალგაზრდა მეჩაიე **ᲒᲣᲚᲜᲐᲖᲘ ᲐᲡᲘᲔᲨᲕᲘᲚᲘ,** რომელმაც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. მან მოკრიფა 2.750 კილოგრამი ჩაი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.100 კილოგრამისა.

ფოტო ი. შაქარაშვილისა.

ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲘᲗ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ 115 ᲢᲝᲜᲐ!

— **ᲬᲚᲘᲡ** სამტრედიის რაიონის მეჩაიეებს დიდი სიხარელეები ჰქონდათ. ქირვეულმა ამინდმა შეაფერხა ჩაის ბუჩქების ნორმალური ვეგეტაცია. მიუხედავად ამისა, სამტრედიელებმა ენერგიული შრომის შედეგად **წარმატებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური** გეგმა. — აცნობეს რედაქციას საქართველოს კპ სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა **კ. შავიშვილმა.** რაიასბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. მანჯგალაძემ** და სოფლის მეურნეობის, სამართველოს უფროსმა **გ. ქართველიშვილმა.**

სამტრედიელმა მეჩაიეებმა 20 სექტემბრისათვის მოკრიფეს და მიუწოდეს ჩაბარეს 1.150 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.145 ტონისა.

წლიური გეგმები გადაჭარბებით შესრულეს ოფეთის, კულაშის კოლმეურნეობებმა და ჭიხაისის კოლმეურნეობა „შრომამ“.

რაიონის მეჩაიეებმა **გადაწყვიტეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 115 ტონა „მწვანე ოქრო“.**

ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲜᲘ

ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘ. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მშრომელთა **წარმატებებში** დიდი **წვლილი** შეიტანეს ნოვატორმა მეჩაიეებმა. ასობით მეჩაიემ **გადაჭარბებით** შეასრულა ჩაის კრეფის **წლიური გეგმა** და ვალდებულებაც. რაიონში სახელი გაითქვა შუაგანახლების კოლმეურნეობის ვეტერანმა მეჩაიემ **ᲐᲠᲔᲗᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔᲛ.** მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი ენერგიულად შრომობს, უკვე მოკრეფილი აქვს **4.000** კილოგრამი ჩაის ნედლეული და განაგრძობს ჩაის კრეფას.

დიდი წარმატება მოიპოვა ჩაისუბნელმა მეჩაიემ **ᲚᲐᲛᲐᲠᲐ ᲩᲮᲘᲙᲕᲐᲫᲔᲛ,** მას მოკრეფილი აქვს **5.200** კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად **4.000** კილოგრამისა.

ᲕᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ

ᲐᲑᲐᲨᲘᲡ რაიონის მეჩაიეებმა 18 სექტემბრისათვის შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილია 406 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული ნაცვლად 405 ტონისა. ახლა მეჩაიეები იბრძვიან ვალდებულების შესრულებისათვის.

გეგმის გადამეტებით კრეფს ჩაის ფოთოლს **ძველი აბაშის** ძერძინსკის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც უკვე ჩააბარა 82 ტონა „მწვანე ოქრო“. მაღალნაყოფიერად იშრომეს სოფელ **წყომის** მარკსის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა. მათ უკვე მოკრიფეს 38 ტონადე ჩაის ფოთოლი. წყომელ მეჩაიეებს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრეფილი აქვთ 3 ტონამდე ჩაის ნედლეული.

წლიური გეგმის შესრულებაში სიროიზული წვლილი შეიტანეს სოფელ **სეფიეთის** მეჩაიეებმა, რომლებიც ვალდებულების შესასრულებლად იბრძვიან.

აბაშელ მეჩაიეთა ამ წარმატებების შესახებ რედაქციას დეპეშით აცნობეს პარტიის აბაშის რაიკომის მეორე მდივანმა **ა. თოფურიამ,** რაიასბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. ნადარეიშვილმა** და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **გ. კუციამ.**

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲐ დოკუმენტებისა და მასალების კრებული „ოციანი წლების შრომის მეცნიერული ორგანიზაცია“. ეს კრებული გამოსცა საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის უაზნინის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის თეორიულ დებულებათა შემუშავება ვ. ი. ლენინს ეკუთვნის. ვლადიმერ ილიას-ძე ამ საკმეს უმაღლილერეს და უყეთილშობილეს სამუშაოს უწოდებდა. საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების მანძილზე ლენინის ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ფართო ქსელი, რომლებიც შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პრობლემებს წყვეტდნენ.

წიგნში დაბეჭდილი ლენინის სტატიები, მოხსენებებისა და სიტყვების ციტატები მოიცავს პეროდს 1899 წლიდან 1923 წლის დამდეგამდე.

კრებულის მასალები მოწმობენ, რომ ოციანი წლების დასასრულს ჩვენმა ქვეყანამ მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განვითარებაში.

(საკადესის კორესპონდენტი)

ᲛᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ

ᲐᲑᲐᲨᲘᲡ რაიონის მეჩაიეებმა 18 სექტემბრისათვის შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილია 406 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული ნაცვლად 405 ტონისა. ახლა მეჩაიეები იბრძვიან ვალდებულების შესრულებისათვის.

გეგმის გადამეტებით კრეფს ჩაის ფოთოლს **ძველი აბაშის** ძერძინსკის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც უკვე ჩააბარა 82 ტონა „მწვანე ოქრო“. მაღალნაყოფიერად იშრომეს სოფელ **წყომის** მარკსის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა. მათ უკვე

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲑᲐᲥᲣᲛᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირში მყოფი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ვალტერ ულბრიხტი, 18 სექტემბერს ბაქოში ჩავიდა.

გერმანელ სტუმრებთან ერთად ბაქოში ჩავიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, აგრეთვე საბჭოთა ოფიციალური პირები, რომლებიც დელეგაციას ახლავან.

ბაქოელები მხურვალედ მიესალმნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებს.

19 სექტემბერს დელეგაცია ეწვია აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანს ვ. ი. ახუნდოვს, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მ. ა. ისკენდეროვსა და აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ე. ნ. ალიხანოვს.

გერმანელ სტუმრებთან ერთად იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, სხვა საბჭოთა ოფიციალური პირები, რომლებიც დელეგაციას ახლავან საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს.

ვიზიტის დროს გაიმართა საუბარი, რომელშაც ძმურ, გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

შემდეგ გერმანელი სტუმრები იყვნენ ბაქოელი ოცდაექვსი კომისრის საფლავზე და შეამკეს გვირგვინით, რომლის ლენტებზე წარწერილი იყო: „ინტერვენტთა მსხვერპლთ — სოციალისტური რევოლუციის გმირებს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის“.

იმავე დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ეწვია აზერბაიჯანის ახალგაზრდა ინდუსტრიულ ქალაქს სუმგაითს. აქ სტუმრებმა დათვალიერეს სუმგაითის მრეწველობის პირმშო — მილსაგლინავი ქარხანა, რომელიც პროდუქციას აწვდის საზღვარგარეთის 23 ქვეყანას, მათ შორის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასაც, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ბევრ რაიონს.

ნაშუადღევს გერმანელი მეგობრები ბაქოში ეწვივნენ აზერბაიჯანის მ. აზიზბეკოვის სახელობის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტს.

ინსტიტუტის საქტო დარბაზში გაიმართა საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეგობრობის მიტინგი. მიტინგის პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგი ვალტერ ულბრიხტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, რესპუბლიკის ხელმძღვანელები, ცნობილი მეცნიერები. მიტინგი გახსნა აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. გუსეინოვამ, რომელიც მიესალმა მოძმე ხალხის წარმომადგენლებს.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა მამედ ყული-ზადემ, სტუდენტებმა ჰაბიბა ბაგიროვამ, გერმანელმა ახალგაზრდამ ავტომატიკის თეორიულ-ტექნიკური ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტმა ოლაფ შოლც დიტერმა ილაპარაკეს იმაზე, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. ჰაგერმა პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრთა სახელით გულითადი მადლობა გადიხადა გულთბილი მიღებისათვის.

ამხანაგმა ვალტერ ულბრიხტმა წარმოთქვა სიტყვა, რომლის დროსაც არაერთგზის გაისმოდა ტაში.

მიტინგი სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა ურღვევი მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა. (საკადესი).

ᲑᲘᲠᲛᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲓᲝᲜᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲨᲘ

18 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ბირმის კავშირის რევოლუციური საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გენერალი ნე ვინი, რომელიც საბჭოთა კავშირში მოგზაურობს, ჩავიდა დონის როსტოვში. ბირმის მთავრობის მეთაურთან ერთად დონის როსტოვში ჩაფრინდნენ მისი თანმხლები ბირმის სახელმწიფო მოღვაწენი და საბჭოთა ოფიციალური პირები.

მეორე დღეს ბირმელი სტუმრები გაეცნენ როსტოვის ოლქის სოფლის მეურნეობას. ისინი იყვნენ ზერნოგრადიის რაიონში, რომელიც დონისპირეთში მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის უდიდესი მწარმოებელია.

ელის პატარა ქალაქი ზერნოგრადი ცნობილია როგორც სოფლის მეურნეობის მეცნიერების ცენტრიც. აქ არის დიდი სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელიც სოფლის მეურნეობისათვის ამზადებს ინჟინერ-მექანიკოსთა კადრებს, ჩრდილოეთ კავკასიის მანქანათმაცდელი და სასელექციო სადგურები. სტუმრები დაწვრილებით გაეცნენ ახალი მანქანების კომპლექსს და ოსურვეს ინსტიტუტის მუშაკებს შემდგომი წარმატებანი მუშაობაში.

შემდეგ ბირმელი სტუმრები ეწვივნენ ზერნოგრადის რაიონის ციოლოს სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელს. სასოფლო-სამეურნეო არტელის გამგეობის თავმჯდომარემ ვ. მაცკევიჩმა სტუმრებს გააცნო არტელის მეურნეობა.

როსტოვში დაბრუნების შემდეგ გენერალი ნე ვინი და მისი თანმხლები პირები ეწვივნენ როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის კულტურის სასახლეს. ეს ქარხანა ჩვენი ქვეყნის უდიდესი საწარმოა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მანქანებს უშვებს.

Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ Დ. ᲙᲐᲚᲐᲘᲡ

20 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ა. ნ. კოსიგინს ეწვია უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკიუროს წევრი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე ამხ. დიულა კალაი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება.

ა. ნ. კოსიგინისა და დ. კალაის შორის გაიმართა ამხანაგური საუბარი, რომელსაც გულითადობის ვითარებაში ჩაიარა. საუბრის დროს, რომელსაც დაესწრო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი იოსეფ სიპკა, განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხები. (საკადესი).

ᲚᲘᲑᲐᲜᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 18 სექტემბერი. (საკადესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით დღეს მოსკოვში ჩამოვიდა ლიბანის პარლამენტის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის მოადგილე ადიბ ფერზლი.

ლიბანელი პარლამენტარები საბჭოთა კავშირში ორ კვირას დაპყოფენ და იმოგზაურებენ ჩვენს ქვეყანაში.

1965 ᲬᲚᲘᲡ 8 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ დილის 10 საათზე საქართველოს უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, 8)

პარტიული ცხოვრება

საანგარიშო-საარჩევნო კრებები პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში

ვეტერანი ფაბრიკა და მისი კომუნისტები

ეს ფაბრიკა მართლაც ვეტერანია. იგი 1926 წელს დაარსდა და მაშინ აქ პირველად შეუდგნენ ჩაის ნედლეულის გადამუშავებას. ქ. მახარაძის მახლობლად სახელდახელოდ აგებულ ბინაში მოაწყეს ფოთლის საგრეხი და საშრობი დანადგარები. ხელით აბრუნებდნენ საგრეხ როლერებს, მთელი ამ რთული პროცესის შედეგად კი დღეში იღებდნენ... მხოლოდ 100 კილოგრამ ნედლეულს.

მას შემდეგ ჩაის ფოთლის მიღება-გადამუშავების თითქმის ორმოცი სეზონი გავიდა. ახლა იმ ადგილას, სადაც პრიმიტიული წარმოება იყო, ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთი უდიდეს საწარმოს — მახარაძის № 1 ჩაის ფაბრიკას გაუშლია ფრთები. იგი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის აღჭურვილი და სეზონში 4,5 მილიონ კილოგრამზე მეტ ჩაის მწვანე ფოთოლს ამუშავებს. მარტო მიმდინარე სეზონში ფაბრიკამ 80 ვაგონი საუკეთესო ხარისხის პროდუქცია გაგზავნა ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში.

ამ წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვით ფაბრიკის კომუნისტებს, რომელთა რიცხვი ექვს ათეულს აღწევს. წარმოების გადამწყვეტ უბნებზე განაწილებულ კომუნისტთა მთავარი საზრუნავია მაღალი პროდუქციისა და ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლა, ტექნოლოგიური რეჟიმის მტკიცედ დაცვა, წარმოების კულტურის ამაღლება, პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების შემცირება.

სწორედ ეს საკითხები იდგა ამ ფაბრიკის კომუნისტთა უყურადღების ცენტრშიც პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა პარტბიუროს მდივანმა გ. ბაბილოძემ საანგარიშო მოხსენებაში ხაზი გაუსვა იმას, რომ უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად გარდაიქმნა შუამავა სკკ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის, ნოემბრისა და მარტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესახებ.

წარმოება კომუნისტთა ძირითადი საზრუნავია. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ფაბრიკამ რვა თვის საწარმოო დავალება ვადამდე გადამეტებით გაანაღდა. მან სამშობლოს მისცა 814,5 ტონა პროდუქცია გეგმით გათვალისწინებული 789 ტონის ნაცვლად. საერთო პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 46 ათასი მანეთით, შრომის ნაყოფიერების ზრდამ გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით 6,5 პროცენტი შეადგინა.

კომუნისტები ყოველივე ახლის, პროგრესულის შემოქმედნი არიან. მისახმაძია ფაბრიკის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს (თავმჯდომარე მთავარი ინჟინერი ლ. ტოტოჩავა) მუშობა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ შეტანილი რვა რაციონალიზატორული წინადადებიდან 6 დაინერგა წარმოებაში. მათ შორის საყურადღებოა ფაბრიკის მთავარი მექანიკოსის პ. ანდღულაძის წინადადება. მან კომბინირებულ აგრეგატებს გაუკეთა შემშრალი ფოთლის ბელტების დამშლელი. ეს სიახლე მუშახელის დიდ ეკონომიას და სეზონში 3.500 მანეთ ეკონომიას იძლევა.

— დღეს აქ გვესწრებიან ძველი კომუნისტები, რომლებიც წარმოებაში ფაბრიკის დაარსების დღიდან მუშაობენ. მათი უანგარო მუშაობა და კომუნისტური შემართება აღგვაფრთოვანებს, — ამბობს სიტყვით გამოსული ფაბრიკის დირექტორი გრ. ლეჟავა. აი ისინიც: ბ. მელიქაძე, მ. მექვაბიშვილი, ა. ჩხარტიშვილი და სხვები. ბევრი ახალგაზრდა აღიზარდა მათს საუკეთესო ტრადიციებზე. მათ შორის არიან კომუნისტები კ. ონიანი, ა. გოგიბერიძე, კ. გაბუნია, გ. თავამაიშვილი, ა. სვანიძე, გ. თოიძე, მ. ჩავლეიშვილი.

მაგრამ ყველაზე როდი ითქმის ასე. ჩაის მიმღებ პუნქტებში არიან ისეთი მუშაკები, რომლებიც ნედლეულის ხარისხის განსაზღვრის დროს არაობიექტურობას იჩენენ, უფრო სწორად, დანშაულებრივად ამახინჯებენ ფოთლის მიღების წესს. ეს განსაკუთრებით იგრძნობა სოფლების თხნვალის, ხვარბეთის, მახარაძის, შემოქმედის, მაკვანთის კოლმეურნეობების ჩაის მიმღებ პუნქტებში.

ტრიბუნაზეა მ. ჩავლეიშვილი. იგი ლაპარაკობს მუშათა საოფოცხოვრებო მოწყობის საყურადღებო საკითხებზე.

— ფაბრიკის საერთო საცხოვრებელში ჩვენი მუშები სივიწროვეს განიცდიან,— თქვა მან, — მაშინ როცა აქ გარეშე პირები ცხოვრობენ. წესრიგი არ არის მუშათა სასადილოში, სადაც არცთუ იშვიათად იყრიან თავს შემთხვევითი ელემენტები, რომლებიც თვრებიან, საამკროში იჭრებიან და დებოშს ტეხენ.

კრებაზე სიტყვით გამოსულმა კომუნისტებმა ა. აფხაზავამ, გ. თავამაიშვილმა, ა. სვანიძემ, ა. გოგიბერიძემ სამართლიანად აღნიშნეს პროფკავშირულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. მათ თქვეს, რომ საფაბრიკო კომიტეტი მთელ შესაძლებლობას არ იყენებს კომუნისტური შრომის მოძრაობის გაქანებისათვის. ისიც აღინიშნა, რომ კომუნისტების ნაწილი ნაკლებად მონაწილეობს პარტიული კრებებისა და პარტბიუროს სხდომებისათვის საკითხების მომზადებაში.

ფაბრიკის ტექნოლოგმა კ. გაბუნიამ თავისი გამოსვლა მიუძღვნა კომუნისტთა თეორიული დონის ამაღლების აქტიურ საკითხებს, ილაპარაკა იდეოლოგიურ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ალ. თოიძე.

კრებამ კომუნისტთა წინაშე დასახა ღონისძიებანი. ფაბრიკამ მიმდინარე სეზონში უნდა გამოუშვას სულ ცოტა 50 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, თვითეული ტონა პროდუქციის დამზადებაზე შრომის დანახარჯი შეამციროს 6 პროცენტით.

კრებამ აირჩია პარტბიუროს ახალი შემადგენლობა და რაიონული პარტიული კონფერენციის დელეგატები.

ბ. ჩხაიძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

„კომუნისტს“ უპასუხებენ

ზომეგი მიღებულია!

ონის რაიონის სოფელ საკაოს საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრების მოუმზადებლად ჩატარებას ეხებოდა გაზეთ „კომუნისტის“ 24 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული წერილი „ერთი კრების სამწუხარო სურათი“.

როგორც საქართველოს კომპარტიის ონის რაიკომის პირველი მდივანი ბ. აბაიშვილი გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

პარტიის რაიკომის ბიურომ დასახა სათანადო ღონისძიებანი. სოფელ საკაოს საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის ყოფილ მდივანს პ. გუგეშაშვილს საანგარიშო-საარჩევნო კრების მომზადებისა და ჩატარების საქმეში დაშვებული ნაკლოვანებისათვის საყვედური გამოეცხადა.

სოფელ გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს სილოსის დამზადება.

სურათზე: კომბაინერ ე. მამულაშვილის ავრეგატი მუშაობისას (წინა პლანზე მარცხნიდან) — კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ელიზბარ სხირტლაძე**, ინჟინერ-მექანიზატორი **ირაკლი ზარდიაშვილი**, გურჯაანის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს მთავარი ზოოტექნიკოსი **შალვა ლითანიშვილი** და აგრონომი **შალვა ბეზარაშვილი** ამოწმებენ სასილოსე მასის ხარისხს.

ფოტო **შ. ჩხეტიანისა.**

პარტიული სწავლება სულ უფრო გამიზნული, მწყობრი ხდება

პროპაგანდისტთა კურსების პირველი ნაკადი

თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში. და ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებში ერთ კვირას მუშაობდა პროპაგანდისტთა გადასამზადებელი რესპუბლიკური კურსების პირველი ნაკადი.

თბილისის ზონის კურსებზე გარდა ქალაქის პროპაგანდისტებისა მოწვეული იყვნენ მცხეთის, რუსთავის, დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, საგარეჯოს, გარდაბნის, ბარნეულის, დმანისის და სხვა რაიონების ის პროპაგანდისტები, რომლებიც პარტიული სწავლების დაწყებით, საშუალო და უმაღლეს რგოლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიას ასწავლიან.

კურსების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო დარგის ხელმძღვანელმა მუშაკებმა, დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების ლექტორებმა.

კურსების მეცადინეობის პირველ დღეს იდეოლოგიური მუშაობისა და კერძოდ, პროპაგანდისტთა ამოცანების შესახებ ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. სტურუამ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ჭანკუყვაძემ დამაწერეთ მოუთხრო იმ ღონისძიებებზე, რაც სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა.

„სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის ბრძოლა მთელი საზოგადოებრიობის სისტემატიური საქმეა“ — ამ თემას მიუძღვნა თავისი გამოსვლა საქართველოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრმა ე. შევარდნაძემ.

თემაზე — საქართველოს მრეწველობის განვითარების პერსპექტივების შესახებ გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ვ. ვადაჭკორია.

კურსების მონაწილეებმა ნახეს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური ფილმი, დაათვალიერეს დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები, ეწვივნენ თბილისის მეტროს მშენებლებს, შეხვდნენ ქართველ საბჭოთა მწერლებს.

ასე ემზადებიან

ქუთაისი. (საკ. კორ.). მუშაობას შეუდგა პროპაგანდისტთა გადასამზადებელი რესპუბლიკური კურსები. მსმენელები იმაღლებენ თეორიულ დონეს, სწავლობენ პროპაგანდისტული მუშაობის მეთოდიკას, ეწყობა სემინარული მეცადინეობა.

მოყლეევადიან კურსებზე ორ ნაკადად გადამზადდება დასავლეთ საქართველოს 17 ქალაქისა და რაიონის 400 პროპაგანდისტი, მათ შორის ქ. ქუთაისიდან 100 პროპაგანდისტი.

ლექციებს კითხულობენ უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების წევრები, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ლექტორები, ხელმძღვანელი მუშაკები.

* * *

ორჯონიკიძე. ამას წინათ პარტიის რაიკომში გაიმართა თათბირ-სემინარი, რომელსაც ესწრებოდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, პროპაგანდისტები, ლექტორები, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები, პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკები.

მოსმენილ იქნა მოხსენებები: „პარტიული განათლების ძსლში 1964-1965 სასწავლო წლის შედეგები და ახალი სასწავლო წლის ამოცანები“, „შვიდწლედის დამამთავრებელ წელს რაიონის წინაშე მდგომი ეკონომიური ამოცანები და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა“, „ლექციური პროპაგანდის მდგომარეობის შესახებ“. მოხსენებები წაიკითხეს პარტიის რაიკომისა და საზოგადოება „ცოდნის“ კასუხისმგებელმა მუშაკებმა.

ჯ. ნებიერიძე.

ამიერკავკასიის ბიბლიოთეკართა კონფერენცია

21 სექტემბრიდან ... მარქსის სახელობის ... ამიერკავკასიის ბიბლიოთეკების მუშაკთა ზონალური თათბირი-სემინარი.

— სემინარი ეწყობა სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის 1965 წლის მეცნიერული მუშაობის გეგმის შესაბამისად, — უთხრა საქდესის კორესპონდენტს კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორმა ბ. კანდელაკმა. — სემინარში მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკური და სამეცნიერო ბიბლიოთეკების მუშაკები.

სემინარი ეძღვნება აქტუალურ თემას—ბიბლიოთეკა საწარმოთა ჯგუფური დამუშავებას.

სემინარზე მოხსენებას — „ბიბლიოთეკა საწარმოთა ჯგუფური დამუშავების საფუძვლები და მისი ორგანიზაცია დიდ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში“ — გააკეთებს სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარი ლ. ბორილენი. სსრ კავშირის ხალხთა ენებზე გამოცემების ჯგუფური დამუშავების თავისებურებებს გააშუქებს ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის მთავარი რედაქტორი ზ. ბოროვკოვა. ანბანურ და სისტემატურ კატალოგებში ლიტერატურის ჯგუფური აღწერისა და ასახვის ერთ-ერთ ... ბიბლიოთეკარი ე. ბერვაჩენკო.

თავიანთი ბიბლიოთეკების მუშაობის გამოცდილებას გააზიარებენ ... სსრ ... ბაიკანის სსრ ... ბიბლიოთეკის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ... ბიბლიოთეკის ... ბ. ... ...

საერთაშორისო ცხოვრება

საიუბილეო სესიის წინ

ნიუ-იორკში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დელეგაციები

◆

ნიუ-იორკი, 20 სექტემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XX სესიაში მონაწილეობისათვის ბუშინ სადამის სპეციალური თვითმფრინავით აქ ჩამოვიდა სსრ კავშირის დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მეთაურობით.

იმავე თვითმფრინავით ჩამოვიდნენ უკრაინის დელეგაცია უკრაინის სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პ. ტ. ტრონკოს მეთაურობით და ბელორუსიის დელეგაცია ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის კ. ვ. კისელიოვის მეთაურობით.

ნიუ-იორკის აეროპორტში საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ გააკეთა განცხადება. მან თქვა: „სსრ კავშირის დელეგაციას, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე ჩამოვიდა, აქვს საბჭოთა მთავრობის მტკიცე რჩევა-მითითება — დაიცვას მშვიდობის საქმე. იბრძოლოს გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, დაიცვას ხალხთა ის უფლებები. რომ დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ უცხოელთა ჩაურევლად, იბრძოლოს კოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციისათვის.

ახლანდელი საიუბილეო სესია მუშაობას აწარმოებს გამლიერებული საერთაშორისო დაძაბულობის ვითარებაში. მთელ რიგ რაიონებში მშვიდობა დაარღვიეს ომებმა და კონფლიქტებმა. აი რატომ არის, რომ ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე ყველა სახელმწიფოს მოეთხოვება გამოიჩინონ პასუხისმგებლობის გრძნობა და კეთილი ნების მაქსიმუმი მშვიდობიანი საშუალებებით სადავო საკითხების გადაჭრისადმი. თითოეულ სახელმწიფოს — დიდსა თუ პატარას შეუძლია და კიდეც უნდა შეიტანოს თავისი წვლილი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში. ყველას, ვინც გულწრფელად დაინტერესებულია მშვიდობის განმტკიცებითა და ომის საფრთხის თავიდან აცილებით, ვთავაზობთ თანამშრომლობას. საბჭოთა დელეგაცია მზად არის გააერთიანოს თავისი მეცადინეობა, რომ ეძიოს ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის გზები სხვა ქვეყნების დელეგაციებთან ერთად, რომლებიც ასევეთვე მიზანს ესწრაფვიან.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ყოველივე საუკეთესო ვუსურვო ამერიკელ ხალხს, ქალაქ ნიუ-იორკის მოქალაქეებს".

◆

დიდი ნდობა და კეთილმეზობლობა

ჰელსინკი. ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დიდი ხელშეკრულება იქნა შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი უარს ამბობს პორკალ-უდის ტერიტორიის გამოყენების უფლებაზე. ამ თარიღთან დაკავშირებით ფინეთის რადიოთი და ტელევიზიით სიტყვა წარმოთქვა ფინეთის პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა.

ფინეთისათვის პორკალის ტერიტორიის დაბრუნება 40 წლით ადრე საზეიმო ხელშეკრულებით გადავლისწინებული ოპარის ვადის გასვლამდე ერთ-ერთი შესანიშნავი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ორმაგ-ბედნიერ ისტორიაში, თქვა პრეზიდენტმა.

შემდეგ უ. კ. კეკონენმა აღნიშნა, რომ ამ მშვიდობისმოყვარული ღონისძიებით არა მარტო გაუმჯობესდა ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, არამედ ევროპის ჩრდილოეთში შეიქმნა ავრეთვე დიდი ნდობის ატმოსფერო.

◆

ი. ცირანკევიჩი ავსტრიაში

ვენა, 20 სექტემბერი. (საკდესი). ავსტრიის ფედერალური კანცლერის იოზეფ კლაუსის მოწვევით დღეს აქ ჩამოვიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ტ. ტრონკოს მეთაურობით და ბელორუსიის დელეგაცია ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის კ. ვ. კისელიოვის მეთაურობით.

ს. სტეფანოპულოსის პრეს-კონფერენცია

ათენი. 18 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი **ა. სიომინი** იუწყება: საბერძნეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ს. სტეფანოპულოსმა დღეს აქ სიტყვა წარმოთქვა ბერძენი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე. სტეფანოპულოსმა თავისი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ უმეოცეულოს ახალ მთავრობას განმარტა იმით, რომ საბერძნეთს შეიძლება „ეერის ახალი გათიშვის" საფრთხე.

მთავრობის მთავარი საზრუნავი, თქვა სტეფანოპულოსმა, იქნება ბერძენი ხალხის მშვიდობის, სიმშვიდისა და სულიერი ერთობის „აღდგენა" და ის, რომ „საჭირო წინამძღვრები" შექმნას არჩევნების გასამართავად.

სტეფანოპულოსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი მთავრობა დიდმნიშვნელოვან ეროვნულ პრობლემებზე მოეთათბირება ეროვნულ რადიკალთა კავშირის პარტიასა და პროგრესისტთა პარტიას.

მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა, თქვა მან, წარიმართება ფულის სტაბილურობის შენარჩუნებისა და საბერძნეთის ეკონომიკის განვითარების დასაჩქარებლად, იმ ანგარიშით, რომ საბერძნეთი შეიჭიდის საერთო ბაზარში.

პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, ოომ მისი მთავრობის საგარეო პოლიტიკა განისაზღვრება იმით, რომ საბერძნეთი ძველ ერთგული იქნება მოკავშირეებისა და გაიფართოებს თანამშრომლობას ყველა სხვა ქვეყანასთან, განსაკუთრებით ეკონომიურ დარგში.

სტეფანოპულოსმა დასასრულ რწმენა გამოთქვა, რომ მისი მთავრობა მიიღებს პარლამენტის ნდობის ვოტუმს.

ბოლო მოეღოს სისხლისღვრას

უშიშროების საბჭოში

◆

ნიუ-იორკი, 19 სექტემბერი. (საკდესი). უშიშროების საბჭოს საღამოს სხდომაზე კვლავ განიხილავდნენ ქაშმირის საკითხს.

ინგლისის წარმომადგენელმა ლორდმა კარადონმა განაცხადა: უშიშროების საბჭოს იმედი აქვს, რომ ინდოეთი და პაკისტანი გამოეჩაურებიან მოწოდებებს, რომლებითაც მიემართეთ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

საფრანგეთის წარმომადგენელმა რ. სეედუმ თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ კონფლიქტი „ზარალს აყენებს ინდოეთსა და პაკისტანს და მშვიდობას მთელ მსოფლიოში". „საფრანგეთის დელეგაცია, — თქვა მან, — თავის ხმას ეერთებს იმათ ხმას, ვინც ორივე ქვეყანას მოუწოდებს დაემორჩილონ უშიშროების საბჭოს 4 და 6 სექტემბრის რეზოლუციებს".

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გოლდბერგმა განაცხადა, რომ უშიშროების საბჭომ სასწრაფოდ უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა ცეცხლის შეწყვეტისა და მშვიდობის დასამყარებლად. ამერიკის შეერთებული შტატები, თქვა გოლდბერგმა, მხარს უჭერენ გენერალური მდივნის უ თანის მეცადინეობას ამ მიზნების მიღწევაში.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ნ. ტ. ფედორენკომ განაცხადა, რომ უშიშროების საბჭო კვლავ შეიარაღება რთულ ვითარებაში, როცა ინდოეთისა და პაკისტანის შეიარაღებული კონფლიქტი მწვავდება და მდგომარეობა სულ უფრო შემაშფოთებელი ხდება.

შეიარაღებული კონფლიქტის გაძლიერება აშფოთებს ეიმისოდაც მწვავე ვითარებას სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ეროვნული თავისუფლებისა და ხალხთა მეგობრული თანამშრომლობის პრინციპებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა კვეყანამ ბევრი რამ გააკეთა მეგობარი ინდოეთისათვის, რათა დაბრკოლებოდა წინსვლაში მშვიდობისა და პროგრესის გზით, თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცების გზით.

ამასთან ჩვენ მხარს ვუჭერთ პაკისტანთან კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებასაც, რადგან ასეთი ურთიერთობა შეესაბამება ორივე ჩვენი ქვეყნის ინტერესებს. ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა კავშირს არაერთხელ აღუნიშნავს კმაყოფილებით, ჩვენი სახელმწიფოს ამ მისწრაფებას გაგებით ეკიდება პაკისტანის მთავრობა.

ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენი შეშფოთება, რაც ინდოეთისა და პაკისტანის შეიარაღებული კონფლიქტით არის გამოწვეული, უეჭნარეს ყოველისა არის ინდოელი და პაკისტანელი ხალხების მეგობართა გულწრფელი და უანგარო გრძნობა, ზრუნვა იმისათვის, რომ აღდგეს ინდოეთისა და პაკისტანის მშვიდობა.

ამასთან არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ისიც, რომ კონფლიქტი ჩვენ შეშფოთებას იწვევს იმიტომაც, რომ საქმეებება სომარ მოქმედებას იმ რაიონში, რომელიც უშუალოდ საბჭოთა კავშირს ესაზღვრება.

საბჭოთა კავშირის პოზიცია საკითხში, რომელსაც საბჭო განიხილავს, განისაზღვრება ჩვენი ქვეყნის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის კონკრეტული ხაზით, ჩვენი ღრმა რწმენით, რომ სადავო საკითხები სახელმწიფოთაშორის, განურჩეველად იმისა, თუ როგორი წარმოშობისაა ეს დავა, უნდა გადაწყდეს მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკების გზით, კონფლიქტის მოწესრიგების სხვა გზა არ არსებობს. საბჭოთა მთავრობა, როგორც აღნიშნული იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წევრ-ტონ სომარი მოქმედება კონფლიქტის მთელ რაიონში და დაუყოვნებლივ გაჩაღებულ მთელი შეიარაღებული პირსონალი იმ პოზიციებზე, რომლებიც 1965 წლის 5 აგვისტომდე ეკავათ.

ამავე მიმართულებით, როგორც ვიცით, ღონისძიებანი განაზორციელა უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ თანმა.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი მოღვაწენი, თქვა ამბ. ფედორენკომ, არაერთგზის ალნიშნავდნენ, რომ ჩვენთვის სრულიადაც არ არის სულ ერთი ის, რაც ამჟამად ხდება ინდოეთსა და პაკისტანს შორის.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ინდოეთთან გვაკავშირებს მეგობრობა, რომელიც უკვე ტრადიციული გახდა. საბჭოთა კავშირი ოფასებს ინდოეთის მშვიდობისმოყვარეულ საგარეო პოლიტიკას, იმას, რომ ერთგულად იცავს მშვიდობიანი თანაარსებობისა და მეიმეხრობლობის პოლიტიკას, ეროვნული თავისუფლებისა და ხალხთა მეგობრული თანამშრომლობის პრინციპებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა კვეყანამ ბევრი რამ გააკეთა მეგობარი ინდოეთისათვის, რათა დაბრკოლებოდა წინსვლაში მშვიდობისა და პროგრესის გზით, თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცების გზით.

ამასთან ჩვენ მხარს ვუჭერთ პაკისტანთან კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებასაც, რადგან ასეთი ურთიერთობა შეესაბამება ორივე ჩვენი ქვეყნის ინტერესებს. ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა კავშირს არაერთხელ აღუნიშნავს კმაყოფილებით, ჩვენი სახელმწიფოს ამ მისწრაფებას გაგებით ეკიდება პაკისტანის მთავრობა.

ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენი შეშფოთება, რაც ინდოეთისა და პაკისტანის შეიარაღებული კონფლიქტით არის გამოწვეული, უეჭნარეს ყოველისა არის ინდოელი და პაკისტანელი ხალხების მეგობართა გულწრფელი და უანგარო გრძნობა, ზრუნვა იმისათვის, რომ აღდგეს ინდოეთისა და პაკისტანის მშვიდობა.

ამასთან არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ისიც, რომ კონფლიქტი ჩვენ შეშფოთებას იწვევს იმიტომაც, რომ საქმეებება სომარ მოქმედებას იმ რაიონში, რომელიც უშუალოდ საბჭოთა კავშირს ესაზღვრება.

საბჭოთა კავშირის პოზიცია საკითხში, რომელსაც საბჭო განიხილავს, განისაზღვრება ჩვენი ქვეყნის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის კონკრეტული ხაზით, ჩვენი ღრმა რწმენით, რომ სადავო საკითხები სახელმწიფოთაშორის, განურჩეველად იმისა, თუ როგორი წარმოშობისაა ეს დავა, უნდა გადაწყდეს მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკების გზით, კონფლიქტის მოწესრიგების სხვა გზა არ არსებობს. საბჭოთა მთავრობა, როგორც აღნიშნული იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წევრ-ტონ სომარი მოქმედებენ ამ ნამუშევრის ორგანიზაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სიალკოტის მიმართულებით დასავლეთ ფრონტზე თავდაცვის ძირითადი პუნქტისათვის ამ ბოლო 9 დღის დროს პაკისტანის ნაწილებმა მოიგერიეს ინდოეთის ტანკებისა და ქვეითი ჯარების კიდევ ერთი იერიში. სამხედრო წრეები აცხადებენ, რომ ამ სექტორში „სასტიკი ბრძოლა" მიმდინარეობს.

როგორც პაკისტანის რადიო იუწყება, გუშინ პაკისტანის შეიარაღებულმა ძალებმა სიალკოტ-ჯამუს სექტორსა და რაჯასტანის სექტორში განადგურეს ინდოეთის 40 ტანკი. „მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდი ზარალი მიეყენეთ. ტყვედ წამოვიყვანეთ 130 ინდოელი. პაკისტანის ჯარებმა ხუდიარში, ლახორის სამხრეთ-აღმოსავლეთით „ალეკ შემოარტყეს ინდოეთის ბრიგადას, რომლის შემადგენლობაში იყო 5 ათასამდე კაცი".

პაკისტანის ჯარებმა 18 სექტემბერს მოიგერიეს ინდოეთის ორი კოლონის იერიში ლაჰორის თავდაცვითს პოზიციებზე ვაგაში.

სიალკოტ-ჯამუს სექტორში ჩამოადგეს ინდოეთის თვითმფრინავი „ჰანტერი". 18 სექტემბერს ღამით ინდოეთის „ჰანტერის" ტიპის ბომბდამშენები თავს დაესხნენ სარგოდის სამხედრო ბაზას (160 კილომეტრზე ლაჰორის ჩრდილო-დასავლეთით). პაკისტანის ბომბდამშენებმა სამხრეთ მიმართულებით დაბომბეს ჯალანგარი, რომელიც მდებარეობს კაჩის ყურის სამხრეთით.

პაკისტანის სამხედრო სარდლობის ცნობით, 19 სექტემბერს ბრძოლა მიმდინარეობდა სიალკოტ-ჯამუს „განსაზღვრულ სექტორში".

ოფიციალური ცნობით, ქაშმირში „გათავისუფლების რაზმებმა" დახოცეს 123 ინდოელი.

დელი, 20 სექტემბერი. (საკდესი). პრემიერ-მინისტრმა

ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტი გრძელდება

დელი, 18 სექტემბერი. (საკდესი). პრემიერ-მინისტრმა ლ. ბ. შასტრიმ აცნობა პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის საპარლამენტო ჯგუფს, რომ ინდოეთ-პაკისტანის ფრონტზე „ინდოეთმა უკვე გარკვეული წარმატება მოიპოვა და შეუძლია მიაღწიოს თავის მიზანს და თავიდან აიცილოს საფრთხე, რომელიც ინდოეთის უშიშროებას ემუქრება".

დელის პრესა ბეჭდავს ცნობებს ფრონტის სხვადასხვა სექტორში ინდოეთის არმიის ოპერაციების შესახებ და აღნიშნავს, რომ „სიალკოტის სამხრეთ-აღმოსავლეთით წარმოებს სასტიკი ბრძოლები", „მიმდინარეობს ოპერაციები ლაჰორის მიმართულებით, ინდოეთის სამხედრო-საჰაერო ძალები თავს ესხმიან პაკისტანის ბაზებს".

ინდოეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ 16 სექტემბერს საღამოს ინდოეთის „ცანბერის" ტიპის ბომბდამშენები „თავს დაესხნენ სარგოდის, აჰვალის და ჩაკ-ჯუმრის სამხედრო-საჰაერო ბაზებს და „მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს".

როგორც ინდოეთის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, ინდოეთის ჯარებმა დაიკავეს პაკისტანის პოზიციები ჯასორანში (8 კილომეტრზე ჩავინდის დასავლეთით, სიალკოტ-პასრურის გზაზე).

შემდეგ ინდოეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კარგილის სექტორში (ჩრდილოეთი ქაშმირი) გამართული ორი ბრძოლის დროს, როცა მოწინააღმდეგის ჯარები ცდილობდნენ გადასულიყვნენ ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე, დაბიცეს და დაჭრეს 19 პაკისტანელი.

ულარჩი, 18 სექტემბერი. (საკდესი). როგორც პაკისტანის რადიომ გადმოსცა, სიალკოტის სექტორში „სასტიკი ბრძოლებია. პაკისტანის ჯარმა მოიგერია ინდოეთის ჯავშანსატანკო ნაწილები, რომლებმაც იერიში მიიტანეს ქალაქ სიალკოტის თავდაცვითს ნაგებობებზე".

ულარჩი, 20 სექტემბერი. (საკდესი). როგორც რავალპინდიდან იუწყებიან, პაკისტანის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სიალკოტის მიმართულებით დასავლეთ ფრონტზე თავდაცვის ძირითადი პუნქტისათვის ამ ბოლო 9 დღის განმავლობაში მიმდინარე ბრძოლის დროს პაკისტანის ნაწილებმა მოიგერიეს ინდოეთის ტანკებისა და ქვეითი ჯარების კიდევ ერთი იერიში. სამხედრო წრეები აცხადებენ, რომ ამ სექტორში „სასტიკი ბრძოლა" მიმდინარეობს.

როგორც პაკისტანის რადიო იუწყება, გუშინ პაკისტანის შეიარაღებულმა ძალებმა სიალკოტ-ჯამუს სექტორსა და რაჯასტანის სექტორში „ინდოეთის 40 ტანკი „მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდი ზარალი მიეყენეთ. ტყვედ ჩამოიყვანეს 130 ინდოელი. პაკისტანის ჯარებმა ხუდიარში, ლახორის სამხრეთ-აღმოსავლეთით „ალეკ შემოარტყეს ინდოეთის ბრიგადას, რომლის შემადგენლობაში იყო 5 ათასამდე კაცი".

პაკისტანის ჯარებმა 18 სექტემბერს მოიგერიეს ინდოეთის ორი კოლონის იერიში ლაჰორის თავდაცვითს პოზიციებზე ვაგაში.

სიალკოტ-ჯამუს სექტორში ჩამოადგეს ინდოეთის თვითმფრინავი „ჰანტერი". 18 სექტემბერს ღამით ინდოეთის „ცანბერის" ტიპის ბომბდამშენები თავს დაესხნენ სარგოდის სამხედრო ბაზას (160 კილომეტრზე ლაჰორის ჩრდილო-დასავლეთით). პაკისტანის ბომბდამშენებმა სამხრეთ მიმართულებით დაბომბეს ჯალანგარი, რომელიც მდებარეობს კაჩის ყურის სამხრეთით.

პაკისტანის სამხედრო სარდლობის ცნობით, 19 სექტემბერს ბრძოლა მიმდინარეობდა სიალკოტ-ჯამუს „განსაზღვრულ სექტორში".

ოფიციალური ცნობით, ქაშმირში „გა-



ინდოეთ-პაკისტანის საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი

ბულგარეთ-რუმინეთის კომუნიკე

სოფია. ბულგარეთში რუმინეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტის შესახებ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ორივე დელეგაციამ განიხილა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომუნისტური პარტიის მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებასა და განმტკიცებასთან, ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საერთაშორისო მდგომარეობისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის აქტუალურ საკითხებზე.

ორივე მხარემ გამოთქვა სურვილი გაღავითარონ ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან და ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან შრომის მსოფლიო სოციალისტური დანაწილების ფარგლებში.

კომუნიკეში დადასტურებულია, რომ ორივე ქვეყანას ერთნაირი შეხედულება აქვს უმნიშვნელოვანესი თანამედროვე საერთაშორისო პრობლემების შეფასებაში, დელეგაციები გადაჭრით გმობენ ამერიკის ინტერვენციას სამხრეთ ვიეტნამში, აგრესიულ მოქმედებას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და აცხადებენ, რომ მზად არიან კვლავაც გაუწიონ დახმარება ვიეტნამელ ხალხს სამართლიან ბრძოლაში. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა, და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა, აღნიშნულია კომუნიკეში, განუხრელად იბრძოლებენ მსოფლიო სოციალისტური სისტემის ერთობის განმტკიცებისათვის, რომელიც მთავარი ძალაა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების საქმეში.

ორივე მხარე აცხადებს, რომ ისწრაფვიან განამტკიცონ ბალკანეთის ქვეყნების თანამშრომლობა და ბალკანები გადაქცეონ მშვიდობისა და მეგობრობის ზონად, იბრძვიან საყოველთაო განიარაღებისათვის, ატომური იარაღის გამოყენების აკრძალვისა და მისი მარაგის ლიკვიდაციისათვის, სამხედრო ბლოკებისა და სხვა ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისათვის, ილაშქრებენ იმის წინააღმდეგ, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას მიეცეს ატომური იარაღი, იღვწიან გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებისათვის.

დელეგაციებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში საჭიროა ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთობა.

ჩეხოსლოვაკიის პრესის დღე

პრაღა. 19 სექტემბერი. ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრივობამ ფართოდ აღნიშნა პრესის, რადიოსა და ტელევიზიის დღე. ტრადიციული ზეიმის ცენტრი გახდა პრაღის კულტურისა და დასვენების პარკი, რომელიც ცხობილი ანტიფაშისტისა და გამოჩენილი პუბლიცისტის იულიუს ფუჩიკის სახელს ატარებს. პრესის დღესასწაულს დაესწრო დედაქალაქის დაახლოებით 150 ათასი მცხოვრები და სტუმარი.

დილით გაიმართა გარბენები გაზეთ „რუდე პრავოს" პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ იუნიორთა — სხვადასხვა საასპორტო საზოგადოების გუნდები და სპორტის ვეტერანები. მთავარი მოვლენა იყო „რუდე პრავოს" XII ტრადიციული კროსი 6 ათას მეტრ დისტანციაზე. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ 17 ქვეყნის მორბენლები.

საოცარი ერთსულოვნება

ლონდონი. ინგლისის მთავრობა აქტიურ პრომაგანდიტულ კამპანიას აჩაღებს და ცდილობს „კეთილსაყოფილებ" პირობები შექმნას ინგლისის ეკონომიური განვითარებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე ჩამოვიდა, აქვს საბჭოთა მთავრობის მტკიცე რჩევა-მითითება — დაიცვას მშვიდობის საქმე. იბრძოლოს გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, დაიცვას ხალხთა ის უფლებები. რომ დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ უცხოელთა ჩაურევლად, იბრძოლოს კოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციისათვის.

ახლანდელი საიუბილეო სესია მუშაობას აწარმოებს გამლიერებული საერთაშორისო დაძაბულობის ვითარებაში. მთელ რიგ რაიონებში მშვიდობა დაარღვიეს ომებმა და კონფლიქტებმა. აი რატომ არის, რომ ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე ყველა სახელმწიფოს მოეთხოვება გამოიჩინონ პასუხისმგებლობის გრძნობა და კეთილი ნების მაქსიმუმი მშვიდობიანი საშუალებებით სადავო საკითხების გადაჭრისადმი. თითოეულ სახელმწიფოს — დიდსა თუ პატარას შეუძლია და კიდეც უნდა შეიტანოს თავისი წვლილი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში. ყველას, ვინც გულწრფელად დაინტერესებულია მშვიდობის განმტკიცებითა და ომის საფრთხის თავიდან აცილებით, ვთავაზობთ თანამშრომლობას. საბჭოთა დელეგაცია მზად არის გააერთიანოს თავისი მეცადინეობა, რომ ეძიოს ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის გზები სხვა ქვეყნების დელეგაციებთან ერთად, რომლებიც ასევეთვე მიზანს ესწრაფვიან.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ყოველივე საუკეთესო ვუსურვო ამერიკელ ხალხს, ქალაქ ნიუ-იორკის მოქალაქეებს".

◆

ი. ცირანკევიჩი ავსტრიაში

ვენა, 20 სექტემბერი. (საკდესი). ავსტრიის ფედერალური კანცლერის იოზეფ კლაუსის მოწვევით დღეს აქ ჩამოვიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იუზეფ ცირანკევიჩი.

◆

ს. სტეფანოპულოსის პრეს-კონფერენცია

ათენი. 18 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი **ა. სიომინი** იუწყება: საბერძნეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ს. სტეფანოპულოსმა დღეს აქ სიტყვა წარმოთქვა ბერძენი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე. სტეფანოპულოსმა თავისი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ უმეოცეულოს ახალ მთავრობას განმარტა იმით, რომ საბერძნეთს შეიძლება „ეერის ახალი გათიშვის" საფრთხე.

მთავრობის მთავარი საზრუნავი, თქვა სტეფანოპულოსმა, იქნება ბერძენი ხალხის მშვიდობის, სიმშვიდისა და სულიერი ერთობის „აღდგენა" და ის, რომ „საჭირო წინამძღვრები" შექმნას არჩევნების გასამართავად.

სტეფანოპულოსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი მთავრობა დიდმნიშვნელოვან ეროვნულ პრობლემებზე მოეთათბირება ეროვნულ რადიკალთა კავშირის პარტიასა და პროგრესისტთა პარტიას.

მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა, თქვა მან, წარიმართება ფულის სტაბილურობის შენარჩუნებისა და საბერძნეთის ეკონომიკის განვითარების დასაჩქარებლად, იმ ანგარიშით, რომ საბერძნეთი შეიჭიდის საერთო ბაზარში.

პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, ოომ მისი მთავრობის საგარეო პოლიტიკა განისაზღვრება იმით, რომ საბერძნეთი ძველ ერთგული იქნება მოკავშირეებისა და გაიფართოებს თანამშრომლობას ყველა სხვა ქვეყანასთან, განსაკუთრებით ეკონომიურ დარგში.

სტეფანოპულოსმა დასასრულ რწმენა გამოთქვა, რომ მისი მთავრობა მიიღებს პარლამენტის ნდობის ვოტუმს.

საოცარი ერთსულოვნება

ლონდონი. ინგლისის მთავრობა აქტიურ პროპაგანდიტულ კამპანიას აჩაღებს და ცდილობს „კეთილსაყოფილებ" პირობები შექმნას ინგლისის ეკონომიური განვითარებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე ჩამოვიდა, აქვს საბჭოთა მთავრობის მტკიცე რჩევა-მითითება — დაიცვას მშვიდობის საქმე. იბრძოლოს გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, დაიცვას ხალხთა ის უფლებები. რომ დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ უცხოელთა ჩაურევლად, იბრძოლოს კოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციისათვის.

ახლანდელი საიუბილეო სესია მუშაობას აწარმოებს გამლიერებული საერთაშორისო დაძაბულობის ვითარებაში. მთელ რიგ რაიონებში მშვიდობა დაარღვიეს ომებმა და კონფლიქტებმა. აი რატომ არის, რომ ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე ყველა სახელმწიფოს მოეთხოვება გამოიჩინონ პასუხისმგებლობის გრძნობა და კეთილი ნების მაქსიმუმი მშვიდობიანი საშუალებებით სადავო საკითხების გადაჭრისადმი. თითოეულ სახელმწიფოს — დიდსა თუ პატარას შეუძლია და კიდეც უნდა შეიტანოს თავისი წვლილი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში. ყველას, ვინც გულწრფელად დაინტერესებულია მშვიდობის განმტკიცებითა და ომის საფრთხის თავიდან აცილებით, ვთავაზობთ თანამშრომლობას. საბჭოთა დელეგაცია მზად არის გააერთიანოს თავისი მეცადინეობა, რომ ეძიოს ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის გზები სხვა ქვეყნების დელეგაციებთან ერთად, რომლებიც ასევეთვე მიზანს ესწრაფვიან.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ყოველივე საუკეთესო ვუსურვო ამერიკელ ხალხს, ქალაქ ნიუ-იორკის მოქალაქეებს".

◆

დიდი ნდობა და კეთილმეზობლობა

ჰელსინკი. ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დიდი ხელშეკრულება იქნა შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი უარს ამბობს პორკალ-უდის ტერიტორიის გამოყენების უფლებაზე. ამ თარიღთან დაკავშირებით ფინეთის რადიოთი და ტელევიზიით სიტყვა წარმოთქვა ფინეთის პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა.

ფინეთისათვის პორკალის ტერიტორიის დაბრუნება 40 წლით ადრე საზეიმო ხელშეკრულებით გადავლისწინებული ოპარის ვადის გასვლამდე ერთ-ერთი შესანიშნავი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ორმაგ-ბედნიერ ისტორიაში, თქვა პრეზიდენტმა.

შემდეგ უ. კ. კეკონენმა აღნიშნა, რომ ამ მშვიდობისმოყვარული ღონისძიებით არა მარტო გაუმჯობესდა ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, არამედ ევროპის ჩრდილოეთში შეიქმნა ავრეთვე დიდი ნდობის ატმოსფერო.

◆

ი. ცირანკევიჩი ავსტრიაში

ვენა, 20 სექტემბერი. (საკდესი). ავსტრიის ფედერალური კანცლერის იოზეფ კლაუსის მოწვევით დღეს აქ ჩამოვიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ტ. ტრონკოს მეთაურობით და ბელორუსიის დელეგაცია ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის კ. ვ. კისელიოვის მეთაურობით.

ბულგარეთ-რუმინეთის კომუნიკე

სოფია. ბულგარეთში რუმინეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტის შესახებ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ორივე დელეგაციამ განიხილა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომუნისტური პარტიის მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებასა და განმტკიცებასთან, ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საერთაშორისო მდგომარეობისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის აქტუალურ საკითხებზე.

ორივე მხარემ გამოთქვა სურვილი გაღავითარონ ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან და ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან შრომის მსოფლიო სოციალისტური დანაწილების ფარგლებში.

კომუნიკეში დადასტურებულია, რომ ორივე ქვეყანას ერთნაირი შეხედულება აქვს უმნიშვნელოვანესი თანამედროვე საერთაშორისო პრობლემების შეფასებაში, დელეგაციები გადაჭრით გმობენ ამერიკის ინტერვენციას სამხრეთ ვიეტ

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები

კენ-კლუბის გენერალური მდივანი დევიდ კარვერი საქართველოში

10 სექტემბრიდან საბჭოთა კავშირში იმყოფება მწერალთა საერთაშორისო ორგანიზაციის — პენ-კლუბის გენერალური მდივანი დევიდ კარვერი.

დ. კარვერი რამდენიმე დღის შემდეგ, რომლებიც მოსკოვსა და ლენინგრადში გაატარა, 16-დან 19 სექტემბრამდე იყო ქართველ მწერალთა სტუმარი. იგი იყო თელავში, დათვალიერა უძველესი ძეგლი — იყალთოს აკადემიის შენობის ნანგრევები, ალექსანდრე ჭავჭავაძის მამული — მუზეუმი, იყო მცხეთაში, სადაც დათვალიერა არქიტექტურის ძეგლები.

საქართველოში თავისი ყოფნის დროს დ. კარვერი შეხვდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, პოეტ-აკადემიკოს ი. აბაშიძეს, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ს. ჭილაიას, კრიტიკოს ვ. მაჭავარიანს და აცნობა მათ, თუ რა საქმიანობას ეწევა საერთაშორისო პენ-კლუბი მსოფლიოს ქვეყნების მწერალთა კონტაქტების დამყარებისა და განვითარების დარგში.

დ. კარვერი პირველად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. 1964 წლის შემოდგომიდან საბჭოთა მწერლები მეთვალყურედ ესწრებოდნენ მწერალთა საერთაშორისო შეხვედრებს, რომლებსაც პენ-კლუბი აწყობდა.

დ. კარვერს საქართველოში ყოფნის დროს ახლდა საბჭოთა ლიტერატურათმცოდნე გ. ბრეიტბურტი. (საქდესი).

ქართული ფილმების წარმატება

თბილისი — კორკი

დამთავრდა კორკის საერთაშორისო კინოფესტივალი

ირლანდიის ქალაქ კორკში ერთ კვირას გრძელდებოდა მოკლემეტრაჟიანი ფილმების ტრადიციული საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელშიც ოცდაათი სახელმწიფოს კინემატოგრაფისტებმა მიიღეს მონაწილეობა.

საბჭოთა კავშირს კინემატოგრაფიამ ფესტივალზე წარადგინა ლატვიელ კინემატოგრაფისტთა კინონარკვევი ვიტრაჟის ხელოვნების შესახებ „მზის ზღაპრები“ და მულტიპლიკაციური ფილმი — ზღაპარი „ბონიფაცის არდადეგები“.

ფესტივალზე კონკურსგარეშე გაიგზავნა ორი ქართული ფილმი — რეჟისორ რ. ჩხეიძის „ჯარისკაცის მამა“ და რეჟისორ დეპიუტანტის მ. კობახიძის კომედიური კინონოველა „ქორწილი“.

საბჭოთა კინოხელოვნების ნაწარმოებებმა ფესტივალზე მოწონება დაიმსახურეს. 19 სექტემბერს, კონკურსის შემაჯამებელ დღეს, ნაჩვენები იქნა ქართველ კინემატოგრაფისტთა ნამუშევრები „ჯარისკაცის მამა“ და „ქორწილი“.

„კომუნისტის“ კორესპონდენტი გუშინ ტელეფონით დაუკავშირდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ვ. კუპრავას, რომელიც ფესტივალის მონაწილე საბჭოთა კინემატოგრაფისტების ჯგუფთან ერთად იმყოფება კორკში, და სთხოვა ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის გაეზიარებინა ფესტივალის შთაბეჭდილებები.

— კორკის მეათე ტრადიციულ კინოფესტივალზე, — განაცხადა ვ. კუპრავამ, — წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ეანრის — დოკუმენტური, სამეცნიერო-სასწავლო, ნახატი და ზოგადი მნიშვნელობის მოკლემეტრაჟიანი ფილმები. კონკურსზე, გარდა საბჭოთა კავშირისა, ფილმები წარმოადგინეს ინგლისის, იტალიის, ირლანდიის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ინდოეთის, პოლონეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იაპონიის, ჩეხოსლოვაკიის, საბერძნეთისა და სხვა სახელმწიფოების კინემატოგრაფისტებმა.

საბჭოთა ფილმებიდან კონკურსში გაიმარჯვა და სპეციალური დიპლომი მოიპოვა ნახატი ფილმის ცნობილი ოსტატის ფ. ხიტრუკის „ბონიფაცის არდადეგებმა“.

ფესტივალის შემაჯამებელ დღეს კორკის ცენტრალური კინოდარბაზი, რომელიც ორი ათას ორასს მაყურებელს იტევს, ხალხით იყო გაჭედილი. უჩვენებდნენ რ. ჩხეიძის „ჯარისკაცის მამას“. ფილმის მსვლელობის დროს ტაში არ ცხრებოდა. კინოსურათის ჩვენების შემდეგ ჩვენთან, საბჭოთა კინემატოგრაფიის წარმომადგენლებთან, მოვიდნენ მაყურებლები და თავიანთი აღფრთოვანება გამოთქვეს. როცა გაიგეს, რომ მე ქართველი ვიყავი, სიხარულით გამიზიარეს შთაბეჭდილებები ჩვენს ფილმზე.

ფესტივალის მონაწილემ მორიატმა, რომელიც ქალაქ კორკის მკვიდრი არის და ხშირად ყოფილა კინოფესტივალის ჟიურის წევრი, განაცხადა: „ჯარისკაცის მამა“ ფესტივალის საუკეთესო ფილმია. მოგახსენებლა ფილმის ჯუმანურმა, ღრმა ადამიანურმა სულისკვეთებამ. მიუხედავად იმისა, რომ ფილმი ომს ასახავს, იგი ომის წინააღმდეგ არის მიმართული, განუმეორებელია ფილმის მთავარი როლის შემსრულებელი სერგო ზაქარიაძე.

კონკურსის ბოლო დღეს ნაჩვენები იქნა აგრეთვე მეორე ქართული ფილმი „ქორწილი“. ქალაქ კორკის მცხოვრებნი საერთოდ ცნობილი არიან როგორც მხიარულობისა და იუმორის მოყვარულნი. ამიტომ ამ ფილმმა მაყურებლის საერთო მოწონება დაიმსახურა. ირლანდიის კინოფილმების ასოციაციის პასუხისმგებელმა მუშამ კატერინა აბრეიმ ფილმის ჩვენების შემდეგ განაცხადა: ამ პოეტურმა ფილმმა უზომოდ აღფრთოვანა. ჩანს, რომ ახალგაზრდა რეჟისორი მ. კობახიძე და მსახიობი ბ. ქავთარაძე იუმორით, ხალასი ნიჭით დაჯილდოებული ოსტატები არიან.

ცნობილმა გერმანელმა მსახიობმა მარინა კოხმა „ქორწილს“ სიცოცხლისა და იუმორის ფილმი უწოდა.

კორკიდან ლონდონს მივემგზავრებით. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ იქ კინოფილმების შემსყიდველ კომპანიას განზრახული აქვს შეიძინოს ჩვენი ფილმები, ამიტომ „ჯარისკაცის მამა“ და „ქორწილი“ თან მიგვაქვს ლონდონში საჩვენებლად.

ბარაძიანი მოსავალია ქარელის რაიონის ბრეთის საბჭოთა მეურნეობაში. მწიფე ნაყოფით დახუნძლულა ვაშლის, მსხლის ხეები.

მეურნეობას გეგმით გათვალისწინებული აქვს წელს სამშობლოს მისცეს 3564 ტონა ხილი. მეურნეობის მუშაკები წარმატებით იბრძვიან ამ ვალდებულების გასანაღდებლად. ვაშლით დატვირთული ყუთები ყოველდღე მიაქვთ ბრეთიდან რესპუბლიკის საკონსერვო ქარხნებსა და კუორორტებზე.

სურათზე: მეურნეობის ერთ-ერთი საუკეთესო მკრეფავი კომკავშირელი ნათელა ედილაშვილი.

ფოტო ფ. კრიმსკისა.

მეცნიერებისადმი მიძღვნილი წლები

რესპუბლიკის სამედიცინო საზოგადოებრიობამ აღნიშნა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფსიქიატრიის კათედრის გამგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ირაკლი ტიმოფეს-ძე მენთეშაშვილის დაბადების 60 და საქმიანო, მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობის 35 წლისთავი.

18 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საავტო დარბაზში მეცნიერის პატივსაცემად გაიმართა საღამო. საღამოში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის, მ. მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის წარმომადგენლები, რესპუბლიკის ბევრი ფსიქონევროლოგიური დაწესებულების თანამშრომლები, აგრეთვე საქართველოს ნეგროპათოლოგთა და ფსიქიატრთა საზოგადოების წარმომადგენლები.

საიუბილეო საღამო გახსნა ფსიქიატრიის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. დ. ზურაბაშვილ მ ა. მან დამსწრეთ უამბო იმ დიდ დამსახურებაზე, რომელიც პროფესორ მენთეშაშვილს მიეძღვნა ქართული მედიცინის განვითარებაში.

მოხსენება ი. მენთეშაშვილის ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ გააკეთა პროფესორმა ბ. რ. ნანეიშვილმა.

პროფესორ მენთეშაშვილს გულთბილად მიესალმა მეგობრებმა, კოლეგებმა, მოწაფეებმა, სტუდენტებმა, მათ შორის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ყენტმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ნ. ანთელავამ, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწეებმა პროფესორებმა პ. შუშანიამ, მ. ჩაჩავამ, გ. კვიტაიშვილმა, დ. ჯაფარიძეშვილმა, პროფესორმა გ. მარუაშვილმა, ერევნის სამედიცინო ინსტიტუტის ფსიქიატრიის კათედრის დოცენტმა ვ. ოგანესიანმა და სხვებმა.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა ი. მენთეშაშვილმა, რომელმაც გულთბილი მადლობა გადაუხადა შეკრებილთ. (საქდესი).

მწყემსი სიკვდილს გაძლაარჩინა

თელავი. (სსკ. კორ.). მელიტონ აბაიძემ ოცდაათ წელზე მეტი ცხვარში გაატარა. ზამთარში შირაზისა და შირაქში ბინადრობს, ზაფხულში კი — მთათუშეთის მთებში.

ამას წინათ მელიტონს დაუპატიჟებელი სტუმრები ეწვივნენ. ერთი მათგანი უშიზეზოდ აუხიოდა და მუცელში ხანჯალი გაუყარა. დაჭრილის ბარში გადმოსაყვანად მწყემსებმა ხის ტოტებისაგან საკაცე გამართეს. ჩქარობდნენ, მაგრამ სანამ მელიტონს თელავის საავადმყოფოში მიიყვანდნენ, თერთმეტ საათზე მეტი ხანი გავიდა.

ავადმყოფი უგრძნობ მდგომარეობაში იყო. დაჭრილს მცირე რაოდენობიოდა შერჩენოდა სისხლი. ახალგაზრდა ქირურგმა თენგიზ ღვინიაშვილმა მელიტონს 750 გრამი სისხლი გადაუსხა და პულსის გამოჩენისთანავე ოპერაცია გაუკეთა. მეორე დღეს ავადმყოფს მუცლის ფარის მწვავე ანთება და ნაწლავების დამბლა განუვითარდა. ღვინიაშვილმა მეორე ოპერაცია გაუკეთა, ხოლო ერთი დღის შემდეგ — მესამე. ერთი თვის დაუღალავი მკურნალობის შედეგად ღვინიაშვილმა მწყემსი სიკვდილს გადაარჩინა.

მელიტონ აბაიძე გამოჯანმრთელდა. მალე იგი თავის ფარას დაუბრუნდება.

ბ. ნ. გოზალიშვილი — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველო ს ს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა შალვა ნიკოლოზის-ძე გოზალიშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ქართული რეალისტური ლიტერატურის ისტორიისათვის (მხატვრული ლიტერატურა ქართულ ბოლშევიკურ პრესაში 1901-1920 წწ.)“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა შალვა ნიკოლოზის-ძე გოზალიშვილისათვის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

ტურისტები მთის რაჭაში

რიონის სათავეებისაკენ რომ გაუყვეთ, ან ჭალაჯის ხეობაში შეხვიდეთ, ხშირად ნახავთ ზურგჩანთამოკიდებულ, სახეგარეჯულ ახალგაზრდებს. ისინი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მომავალი ტურისტები არიან. შორს გაფთქვამს სახელი კავკასიონის მედიდურობას და სილამაზეს. ბუმბერაზი მთებისა და ყინვნვარების ეშხი და ჯადოსნური ძალა იზიდავს მათ ამ მხარეში.

შორი გზიდან მომავალ სტუმრებს კარგ მასპინძლობას უწევს შოვის ტურისტული ბაზა.

აქ მუდამ ხალხმრავლობა და ფუსფუსია, და ეს არც არის გასაკვირველი, რადგან შოვის ტურისტულ ბაზაზე ბევრი მნიშვნელოვანი საკავშირო ტურისტული მარშრუტი გადის.

მაგალითად, მარშრუტი № 42. იგი ქ. ორჯონიკიძეში იწყება და ალაგორის — ციხის-ზარომაგის — ქალაქის-მამისონის-შოვის-ქუთაისის გზების გავლით შავი ზღვის სანაპირო კურორტებზე გაგრაში, ციხისძირსა და ბათუმში მთავრდება. ეს ტურისტული მარშრუტი ოცდღიანია.

მეორე ტურისტული მარშრუტი № 87 ცენტრალურ კავკასიონზე გადის. ტურისტები ლაშქრობას იწყებენ ნალჩიკიდან, შემდეგ გაივლიან ცისფერ ტბას.

ამ ადგილას ტურისტების თვალწინ იშლება რიონის სათავეების — ფანისა და ლამდას მთის მომხიბლავი სანახაობა. აქედან ისინი „გორიბულოს“ გავლით, რიონის თვალწარმტაცი ხეობით ესტუმრებიან მთის რაჭის უძველეს სოფელს ღებს. ღებში ტურისტები ეცნობიან ძველი ყოფის გადმონაშთებს — ციხე-კოშკებს და დუროიან სახლებს. შემდეგ ტურისტები მათთვის გამოყოფილი სპეციალური მანქანებით შოვის ტურისტულ ბაზაში მიემგზავრებიან.

შოვის ტურისტული ბაზა მომსახურებას უწევს აგრეთვე უსაგზაოროდ მოგზაური ტურისტებს. აქ ტურისტთა განკარგულებაშია მუდარო, კეთილმოწყობილი საწოლი ოთახები. აგრეთვე ოთხსაწოლიანი სავლე კარვები ასი კაცისათვის.

ხალისიანად ატარებენ სამდღიან შესვენებას აქ სამარშრუტო ტურისტები. მეოთხე დღეს კი მათთვის გამოყოფილი მანქანებით ისინი სამოლოო დანიშნულების ადგილამდე მიემგზავრებიან.

ს. რეხვიაშვილი.

შოვი.

ზღვის მშვენება

ბათუმი. (სსკ. კორ.). ქალაქში ერთბაშად გავრცელდა ცნობა, რომ ნავსადგურში დუზა ჩაუშვა უმაღლესი კლასის საოკეანო თბოშავალმა „ალექსანდრე პუშკინმა“. საზღვაო ვაგზლის ეზოცელი მოედანი ბათუმელებით აივსო. ისინი ინტერესით თვალიერებდნენ ლამაზ ლაინერს.

„ალექსანდრე პუშკინი“ ააგეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გემთმშენებლებმა. მათ ოსტატობა არ დაუშურებიათ, რომ გემი მიმზიდველი და კომფორტაბელური ყოფილ-ყო. სალონები, დერეფნები, ვესტიბიულები, კაიუტები მოპირკეთებულია ხითა და სინთეზური მასალით.

ლაინერის სიგრძე 176 მეტრია, სიმაღლით კი ათსართულიან სახლს გაუტოლდება. გემზე 750 საწოლია, ყველა კუთხე მორთულია თანამედროვე სტილის ავეჯით. ვერანდაზეა საცურავი აუზები, უზარმაზარი სათავსები, რომლებიც რამდენიმე ათეულ ავტომანქანასა და დიდძალ ტვირთს დაიტევს.

„ალექსანდრე პუშკინი“ ამჟამად ექსპურსიებს ტურისტებს.



სურათზე: ლაინერი „ალექსანდრე პუშკინი“ ბათუმის ნავსადგურიდან გადის.

ჰავანის ტურნირზე

კაპაბლანკას ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გათამაშდა მე-17 ტური. ლიდერებმა ვ. სმისლოვმა და ბ. ივკოვმა ყაიმით დაამთავრეს თავიანთი პარტიები; პირველმა კ. რობაჩთან, მეორემ — ვ. ჩოკილტაისთან. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე რ. ხოლმოვ-ი. დონერისა და ლ. საბო-ვ. ტრინგოვის შეხვედრები. ე. ველერ-რ. ფიშერის ორთაბრძოლა გადადო. საბჭოთა გროსმაისტერს ზედმეტი პაიკი აქვს.

ერევნის საერთაშორისო

ძლიერი მოჭადრაკეები შეიკრიბნენ ერევნის პირველ საერთაშორისო ტურნირზე. თოთხმეტ მოჭადრაკეს შორის ცხრა საერთაშორისო გროსმაისტერია — მსოფლიოს ჩემპიონი ტ. პეტროსიანი, სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. კორჩნოი, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი ლ. შტეინი, ი. ავერბახი, სახელგარგარეული გროსმაისტერები გ. შტალბერგი (შვეიცია) ა. მატანოვიჩი (იუგოსლავია), მ. ფილიპი (ჩეხოსლოვაკია), ლ. პორტიში (უნგრეთი), ლ. შმიდტი (გფრ) და სხვა უძლიერესი ოსტატები.

ტურნირზე უკვე გათამაშდა ორი ტური. ისევე როგორც სტარტზე, ბრწყინვალედ ითამაშა ვ. კორჩნოიმ. მან 39-ე სვლაზე დაამარცხა ი. ავერბახი. ე. ფაკაკანინმა მოუგო ბ. შპინს, ლ. პორტიშმა — რ. ფუჩსს (გდრ). ყაიმით დამთავრდა ლ. შმიდტ-გ. შტალ ბ ერ გ ი ს, ა. მატანოვიჩ-ვ. ლიბერზონისა და ლ. შტეინ-მ. ფილიპის პარტიები. ტ. პეტროსიანს უკეთესი პოზიცია აქვს ი. ნეიშტადტთან გადადებულ პარტიაში.

ორი ტურის შემდეგ ლიდერია ვ. კორჩნოი, მას 2 ქულა აქვს.

მოსკოვსა და კუიბიშევში

„დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) — 0:0 (0:0). მოსკოვი, 20 სექტემბერი. მოსკოვის „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი მ. პინსკი (ხარკოვი).

„დინამო“ (მოსკოვი) — იაშინი, ოკანოვი, მუდრიკი, ცარიოვი, გლოტოვი, მასლოვი, ბობკოვი, ჩისლენკო, გუსაროვი (კარალენკოვი), ავრუცკი, ბშვიცევი.

„დინამო“ (თბილისი) — ურუშაძე, სიჭინავა, ჭელიძე, ხუროცლავა, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, დათუნაშვილი, ბარქაია (მაისურაძე), მეტრეველი, მესხი.

თანაკლუბელთა ორთაბრძოლის პირველი ნახევარი თანაბარი იყო. როგორც სტუმრებს, ასევე მასპინძლებს კარის ღღების რამდენიმე საშუალება ჰქონდათ, მაგრამ უშედეგოდ. დამჯერებლად იდგა კარში მეკარე ურუშაძე, იგი საერთოდ კარგად ატარებს უკანასკნელ მატჩებს. პირველი ტაიმი ფრედ — 0:0 დამთავრდა.

თამაშის მეორე ნახევარი მასპინძლებს უპირატესობით აღინიშნა. ისინი განუწყვეტლივ ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს ჩემპიონის კართან. მხოლოდ თამაშის დასასრულს შეძლეს თბილისელებმა მდგომარეობის გათანაბრება და სახიფათოდაც შეუტიეს. მატჩი მაინც უშედეგოდ დამთავრდა.

ამ გუნდების დუბლ შემადგენლობათა შეხვედრაც ფრედ — 1:1 დამთავრდა.

დამარცხება განიცადა ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელმა ქუთაისის „ტორპედომ“ კუიბიშევში, ადგილობრივ „კრილია სოვეტოვისაგან“. მასპინძელთა 5 გოლს ვერცერთით ვერ უპასუხეს ქუთაისელებმა.

მატჩები და შედეგები

კვირას და გუშინ გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის.

მოსკოვის ორი გუნდის — ცსკა-სა და „ლოკომოტივის“ შეხვედრა დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0, ორივე გოლი კაზაკოვმა გაიტანა.

ლენინგრადის „ზენიტმა“ თავის მოედანზე დაამარცხა „ბაკოს „ნეფტიანიკი“ — 1:0. გოლის ავტორი ბურჩალკინი იყო.

გუშინ უკრაინის დედაქალაქში გაიმართა ოქროს მედლის ძირითადი პრეტენდენტების კიევის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ ორთაბრძოლა. პირველ ტაიმში ინიციატივა მთლიანად მასპინძელთა მხარეზე იყო. სერგბრიანიკოვმა, ხმელნიციკიმ და კვლავ სერებრიანიკოვმა ანგარიში სამამდე აიყვანეს. მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლეს მოსკოველებმა ჩვეული თამაში. თუმცა სტრელცოვმა ორი გოლი გაქვითა, სტუმრებმა მაინც დამარცხდნენ — 2:3.

მატჩი დონეცკში „შახტიორსა“ და მინსკის „დინამოს“ შორის დამთავრდა ფრედ 1:1.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 21 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ (მ.)	24	16	5	3	39-16	37
„დინამო“ (კ.)	22	14	5	3	40-17	33
„დინამო“ (მნ.)	23	11	7	5	27-15	29
ცსკა	24	10	8	6	27-16	28
„დინამო“ (მ.)	24	8	10	6	28-21	26
სკა (როსტ.)	24	8	10	6	27-23	26
„ზენიტი“ (ლ.)	24	8	9	7	27-23	25
„დინამო“ (თბ.)	23	8	8	7	24-21	24
„კრ. სოვ.“ (კ.)	23	8	7	8	31-27	23
„ჩერნომ“. (ოდ.)	23	8	6	9	31-32	22
„სპარტაკი“ (მ.)	22	7	7	8	17-17	21
„ლოკომოტ.“ (მ.)	26	7	7	12	34-42	21
„შახტიორი“ (დ.)	23	5	10	8	20-24	20
„ნეფტიან.“ (ბ)	24	8	4	12	22-30	20
„პახტაკორ.“ (ტ.)	21	5	9	7	21-28	19
„ტორპედო“ (ქ.)	23	6	2	15	20-50	14
სკა (ოდ.)	23	2	4	17	12-45	8

მსოფლიოს ჩემპიონის რისკი

რიგა. 20 სექტემბერი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). როგორც ცნობილია, პირველი პარტია გადადებული იყო ა. კუშნირისათვის უთამედო პოზიციაში. ლაზიერების ენდშპილში მას პაიკი აკლია. ნანეიშვილი საშინაო ანალიზის შემდეგ პრეტენდენტის ხელუფლანტმა ბ. პერსიცმა შეჭიდრების არბიტრს ნ. გრუშკოვა-ბელსკას შეატყობინა, რომ მისი მსარე თმობს პარტიას. ანგარიში გახდა 1:0 მსოფლიოს ჩემპიონის სასარგებლოდ.

დღეს მეტოქეები მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს. თეთრებით თამაშობდა ნ. გაფრინდაშვილი. გათამაშდა ესპანური პარტია. ამ დებიუტში თეორეტიკოსებმა შავებით საინტერესო ფეგმები მონახეს. ამიტომ თეთრები ხშირად უხვევენ გვერდს გავრცელებულ გაგრძელებებს. ასე მოხდა ამჯერადაც.

ნონამ აირჩია ძველებური სისტემა, მაგრამ უპირატესობა ვერ მიიღო. შავებმა სასურველად განლაგეს თავისი ძალები. მე-17 სვლაზე მსოფლიოს ჩემპიონმა სათანადო მომზადების გარეშე განახორციელა გარღვევა ცენტრში, რის შედეგადაც უარესი პოზიცია მიიღო. ორი სვლის შემდეგ ნონამ მოულოდნელად მხედარი შეწირა მეტოქეს. ეს გაუმართლებელი აღმოჩნდა... შავებს დაცვის სათანადო რესურსები აღმოაჩნდათ და თანდათანობით დაეუფლნენ ინიციატივას.

ლაზიერების გაცვლის შემდეგ ბრძოლის სიმწვავე საგრძნობლად დაცხრა და თამაში გადავიდა ა. კუშნირისათვის მოსაგებ ენდშპილში. თეორების 42-ე სვლის შემდეგ პარტია გადადო. კუშნირს ზედმეტი კუ მყავს პაიკში.

ხვალ გაიმართება ამ პარტიის დამთავრება.

• • •

მოგვყავს მატჩის მეორე პარტია.

გაფრინდაშვილი — კუშნირი

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. ♘f3 ♘c6 3. ♗b5 a6 4. ♗a4 ♘f6 5. ♕e2 ♗e7 6. d3 b5 7. ♗b3 0—0 8. 0—0 d6 9. c3 ♘a5 10. ♗c2 c5 11. ♘d1 ♘c6 12. h3 ♘d7 13. ♗bd2 ♗b6 14. ♘f1 ♕e6 15. ♘g3 g6 16. ♗h6 ♖e8 17. d4 ed 18. cd cd 19. ♗f5 gf 20. ef ♗d5 21. ♘:d4 ♗f6 22. ♕g4+ ♔h8 23. ♘:c6 ♗:c6 24. ♕h5 ♖g8 25. g4 ♗a7 26. ♔h2 ♘c4 27. f4 ♘e3 28. ♗d2 ♘:c2 29. ♖:c2 ♗e4 30. ♖e2 d5 31. g5 ♗g7 32. ♗:g7+ ♖:g7 33. f6 ♖g8 34. ♗d1 ♕b8 35. ♔g3 b4 36. ♕g4 ♕c8 37. ♖:c8 ♖:c8 38. ♗d4 a5 39. ♔g4 ♗ac7 40. ♗dd2 ♖e2 41. f5 ♖:d2 42. ♖:d2 პარტია გადადო.



a b c d e f g h

თეთრები: ნ. გაფრინდაშვილი: ♔g4, ♖d2, ♘-ბი: a2, b2 f5, f6, g5, h3 (8)

შავები: ა. კუშნირი: ♔h8, ♖e8, ♗e4 ♘-ბი: a5, b4,d5 f7, h7 (8)

შავებმა ჩაიწერეს 42-ე სვლა.

• • •

სურათზე: თამაშობენ ნ. გაფრინდაშვილი (მარჯვნივ) და ა. კუშნირი.

(სურათი მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

რ. რურუა — სსრ კავშირის ჩემპიონი

რიგაში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. აქ სპორტსმენები ერთმანეთს უმჩატეს, ქვემსუბუქ, ქვესაშუალო და ქვემძიმე წონითს კატეგორიებში ეცილებოდნენ პირველობას.

ასპარეზობა საინტერესო იყო თუნდაც იმიტომ, რომ მრავალი მოულოდნელობა მოიტანა. გასული წლის ვერც ერთმა ჩემპიონმა, რ. რურუამ გარდა, ვერ შეინარჩუნა ოქროს მედალი. სამ წონითს კატეგორიაში ჩემპიონები ციმბირელები გახდნენ. ესენი არიან ნოვოსიბირსკელი პ. ოლზოევი (უმჩატესი წონა), ომსკელები პ. იგუანოვი (ქვესაშუალო წონა) და ა. კარმაცაკინი (ქვემძიმე წონა).

შესანიშნავი წარმატება მოიპოვა ქართველმა მოჭიდავემ რომან რურუამ. იგი ზედიზედ მესამედ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი ქვემსუბუქ წონაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შეხვედრა მოსკოველ ი. ზაიცევთან. ქართველი ათლეტი ბრძოლას 1:5 აგებდა, მან არა მარტო გაათანაბრა ანგარიში, არამედ ქულებით გამარჯვებასაც მიაღწია.

რ. რურუა 1942 წელს არის დაბადებული. 1968 წელს იგი პირველად გახდა ოქროს მედლის მფლობელი და ეს მიღწევა 1964 და 1965 წლებშიც გაიმეორა, ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე კი ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

• • •

სურათზე: სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი რ. რურუა.

ხელბურთელები ფინეთთან

თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო ხელბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის დასკვნითი ტური. ა-ი-პირველი დღის შედეგები: მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — ლენინგრადის „ბოლშევიკი“, — 22:15, „ზაპოროჟალიუმინსტროი“ — კიევის „ბურევესტნიკი“ — 41:18, მოსკოვის „სპარტაკი“ — კუნასის „პოლიტექნიკი“ (წარსულში „ატლეტასი“) — 26:23. მოსკოვის „ტრუდი“ — ტაშკენტის „ბურევესტნიკი“ — 34:19, ქ. ტირასპოლის გუნდი — „ცსკა“ — 35:22.

სუსტად გამოიყურებოდნენ ბაკოს დინამოსთან შეხვედრაში გასული წლის ჩემპიონები — თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელები. ისინი ძლივს გადაურჩნენ დამარცხებას. დასაწყისში მასპინძლები დაწინაურდნენ 8:3, მაგრამ მათ ჩქარა დაკარგეს უპირატესობა და ტაიმი წააგეს 10:15.

მხოლოდ ძალების უდიდესი დაძაბვით შეძლეს თბილისელებმა მდგომარეობის გამოსწორება და მატჩი ფრედ დაამთავრეს 26:26. დაიკარგა მეტად საჭირო ქულა, რომელსაც საბოლოო შეჯამებისას შეიძლება ოქროს ფასიც კი ჰქონდეს. ჩემპიონი უდავოდ არ არის ფორმაში, ამის სიმპტომები უკვე პროფკავშირთა სპარტაკიადაზე იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, სათანადო დასკვნა გუნდს არ გამოუტანია.

გუშინდელი მატჩების შედეგები ასეთია: „ზაპოროჟალიუმინსტროი“-„ტრუდი“ (მოსკოვი) — 19:15, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — „ბურევესტნიკი“ (ტაშკენტი) — 21:18, „სპარტაკი“ (მოსკოვი)-„ბოლშევიკი“ (ლენინგრადი) — 19:19, „პოლიტექნიკი“ (კაუნასი) — „ბურევესტნიკი“ (კიევი) — 31:26, ქ. ტირასპოლის გუნდი — „დინამო“ (ბაკო) — 25:23, „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ცსკა“ — 34:26 (16:17).

დღეისათვის მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელებს — 14 ქულა აქვთ, „ზაპოროჟალიუმინსტროის“ — 13, თბილისის „ბურევესტნიკს“ — 11 ქულა.

ფესტივალი — რუმინეთი

პრაღაში გაიმართა მსოფლიოს პირველობის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:1. ამ მატჩის შემდეგ ევროპის IV ჯგუფში პირველი ადგილი პორტუგალიას პრაქტიკულად განაღდებული აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები

საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო

აცხადებს საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, სახლმართველებს, საუნუბოო სახლების კომენდანტებისა და კერძო სახლთმფლობელების საუურადღებოდ, რომ საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება აწარმოებს მილ-ღუმელების მეურნეობის სარემონტო და გაწმენდის სამუშაოების თანახმად განცხადებისა.

ხსენებულ სამუშაოთა შესრულებაზე უნდა მიმართოთ: ქ. თბილისში — რესპუბლიკის სახანძრო საზოგადოების საწარმოო კომბინატს (ვ. აბაშიძის ქ. № 1 ტელ. 9-05-41, 9-96-02).

რესპუბლიკის დანარჩენ ქალაქებსა და რაიონებში — ადგილობრივ ნებაყოფ